მუხრანი ძირძველი ქართული სოფელია, იგი ყოველთვის ერთ-ერთ აქტიურ როლს თამაშობდა ჩვენი სამშობლოს ისტორიულ ცხოვრებაში და მან ეს როლი არც დღეს უნდა დაკარგოს. იგი ბაგრატიონთა სამეფო გვარის საუფლისწულო მამულია; მუხრანი სამშობლოა ყველა ქართველისათვის საფიცარი ქვეყნის წამებულისა; მუხრანი სამშობლოა ნიკო ბაგრატიონისა, იგივე ნიკო ბურისა, "თავისუფლების რაინდი" რომ შეარქვეს შორეული აფრიკის ტროპიკებში. მართალია დღეს მისი სასახლის ნანგრევებში, ცივი ქარი დაშლივინობს და კაცი ვერ გაიგებს მართალი მისი რესტავრაცია ხდება თუ ალგა მიწისაგან პირისა, მაგრამ ჩვენ გვაქვს მეორე მშვენიერი სასახლე ბაგრატიონთა. თხოვნით მოგმართავთ თქვენ - სრულიად საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტს, თქვენ - საქართველოს მონარქისტულ პარტიას და თქვენ - ქართველებო, მასზედ რომ მონარქისტულმა პარტიამ შტაბ-ბინა დაიღოს მუხრანში, ბაგრატიონთა კერაზე, რითაც კიდევ ერთხელ გამოვხატავთ ჩვენს მცირე, მაგრამ გულწრფელ თაყვანს ამ საბელგავანი გვარისადმი.

პარტიის ცენტრი საქართველოს მონარქისტული პროგრამული კომიტეტის მუხრანის მუხრანის ჯგუფი.

გვწყალაღვალს ღმერთი!

ქრისტეს შობიდან 1990 წლის 5/18 სურწყუნის (თებერვალი) საქართველოს მონარქისტული პარტია მიწვეული იყო შიდა ქართლის სოფელ მუხრანში. საქართველოს კანონიერ მეფეთა საუფლისწულო მამულში შედგა ხალხმრავალი მიტინგი, სადაც განხილული იქნა არა მარტო გზა დამოუკიდებლობისაკენ, არამედ სოფლის სატკივარიც, რამაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია სოფლის მცხოვრებლებში.

მონარქისტული პარტიის გზეულისა და ამოცანებზე ისაუბრა ბატონმა აკაკი ასათიანმა. მან დამსწრე საზოგადოებას შეახსენა ის გზა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში განვლო სოფელმა მუხრანმა და მისმა ბატონიშვილებმა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მიტინგზე ადგილი ჰქონდა პროვოკაციებს, მაგრამ, როგორც იტყვიან, სამართალმა პური ჭამა და ე.წ. პროვოკატორებმა ბოდიში მოიხადეს. ეს კი ბატონ გია გოდერძიშვილის გამოსვლის შემდეგ მოხდა, როდესაც იგი შეეხო უშუალოდ სოფლის სატკივარს, კერძოდ წამოაყენა წინადადება სოფელში კოლმურწუნების დაშლისა და შემდეგ ტრადიციული ქართული თემისაკენ დაბრუნების შესახებ. ეს წინადადება აღფრთოვანებით იქნა მიღებული მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ.

მიტინგის მონაწილეთა წინაშე წარსდგინდა თვით სოფლის მკვიდრნი, რომელთაც ილაპარაკეს, თუ რა დიდი ადგილი უკავია მათ სოფელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, რომ მათთვის უდიდესი პატივია იყონ მუხრანელი, მაშინ, როცა საქართველოს ბოლო სამეფო შტოა (ბაგრატიონ-მუხრანბატონები) ჩამომაგლობა სწორედ ამ სოფლიდან იწყება. დამსწრეთა წინაშე აგრეთვე წარსდგა მუხრანის ღმერთის შობის ეკლესიის მოძღვარი მამა ელიზბარი.

მიტინგზე თავიდან, რა თქმა უნდა, იყო აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ საბოლოოდ, ტრიბუნისა და მსმენელთა შორის დამყარებულ ერთმანეთსა და აგვირგვინს სოფლის რამოდენიმე მცხოვრებლის მიერ სსრკ კუ მანდატების დაყრამ.

დასასრულს საქართველოს მონარქისტული პარტიის წარმომადგენლებმა სოფლის მცხოვრებლებთან ერთად დაათვალიერეს ბაგრატიონ-მუხრანბატონთა რეზიდენცია, რომელიც ძალზე სავალალო მდგომარეობაშია და საჭიროებს სასწრაფო რესტავრაციას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეკლესიაში, სადაც ქვეყნის წამებულმა ჯვარი დაიწერა, მუშაობდა პურის საცხობი, რის გამოც ეკლესიის ფრესკები გაჭვარტლულია, რაც მათ აღგენას ეჭვის ქვეშ აყენებს.

დ. კლიაშვილი

შენიშვნა სივრცითი ცვლილება...

/დასასრული/

დაიკაოს პოზიციები გლდანისა და ქვემო ავჭალის ხაზზე. გენერალმა ჯიჯიხიამ დაიკაოს პოზიციები ნოვო-ალექსანდრე-სიველიდან მოყოლებული წმ. გიორგის ეკლესიამდე.

გენ. მაზნიაშვილი თავისი მარცხენა ფრთის ჯარების ნაწილებით გამოვიდეს სოლანლუს ხილზე, იაროს მტკვრის მარცხენა ნაპირით ალექსანდრესლოვზე და მივიდეს ზემო ავჭალაში, სადაც ჩადგეს რეზერვში, გენ. მაზნიაშვილი თავის მარჯვენა ფრთის კარების ჯარების ნაწილებით გამოვიდეს მნაცაკანოვის ხილზე, ორთაჭალაში, და იაროს მტკვრის მარცხენა ნაპირით,

— მარცხენა ფრთის ჯარების ნაწილებთან ერთად გენ. ანდრონიკაშვილი არიერგარდის დახარებით გამოვიდეს და იაროს სეილაბადის მალაზე მდებარე ბოტანიკურ ბაღის სამხედრო გზატკეცილით და ბილიკით წყნეთზე. დახვევის გასაღებუბებულად გენ. ანდრონიკაშვილმა გარდა სეილაბადის მალაობისა და იკაოს პოზიციები ქედზე, რომელიც მიდის კოჯორიდან ფუნიკულორისაკენ. უკან დახვევა აწარმოოს საქართველოს სამხედრო გზით, დაიკაოს პოზიციები მცხეთიდან სამარეთით, სანამ ვააზრებდეს პოზიციებს მალაობებზე 291, 3023, 1-317.6 და უთელი-ვანზე. ამგვარად გამოვიდეს სეილაბადის მალაობზე, მდებარე ბოტანიკურ ბაღის სამხრეთით მე-1 ლეგიონის ათასეული. ეს ჯარის ნაწილი ექვემდებარება გენ. ანდრონიკაშვილს და უკან იხვეს ჩხოლად მისი ბრძანებით. წყნეთის რაიონში და შემდეგ ჩრდილოეთით ნახშირ-გორიდან საბურთალოს გზაზე სდგას მე-1 ლეგიონის ათასეული მაიორ სუმბათიშვილის უფროსობით. ეს გვერდზე მყოფი ავანგარდი უნდა გაძლიერებული იქნეს გენ. ანდრონიკაშვილის ჯარის ნაწილებით და შეუძლიან მას დაიხიოს მხოლოდ ანდრონიკაშვილის ბრძანებით. ჯარებმა თავის ზურგს უკან მყოფ დაწესებულებებს უნდა გადასცენ წინდაწინვე ბრძანება უკან დახვევისა. ეს დაწესებულებები გენ. მაზნიაშვილის, ჯიჯიხიას და პოლკ. გიდეგანიშვილის რაზმებისა უნდა გამოვიდნენ მტკვრის მარცხენა ნაპირით, ხოლო გენ. ანდრონიკაშვილისა საქართველოს სამხედრო გზით. მიღებულ იქნას ყველა ღონისძიება, რომ ჯარების უკან დახვევა უსიერად სწარმოებდეს. ცხენოსანმა რაზმმა დაიკავას ნორიო-გლდანის მიმართულება, დაიხიოს ყველა და არ გამოუშვან მოწინააღმდეგე გლდანში. როდესაც ყველა ჯარები დაიხივენ და ზემო ავჭალასა და გლდანს დაიკავებენ ჩვენი უკანდახვეული ჯარები, ცხენოსან რაზმმა დაიხიოს გლდანში. ღამის 24 საათს 24-25 თებერვალს 24/11-21 წ. №131. კვინტაპე.

ამ ბრძანებამ ძალიან გამაკვირვა და გამაოცა. 12 საათამდე დარჩენილი იყო რამდენიმე წუთი. რამდენიმე წუთის შემდეგ გულა-ნაბადი უნდა აგვიკრა და გავცემულიყავით ტფილისიდან.

ჯერ კიდევ 24 თებერვალს საინტენდანტო და საარტილერიო საწყობებმა მოზიდეს ჩემს რაიონში სანოვაგისა და ვაზნების უამრავი მარაგი და... უცბად უკან დახვევა სატანტო ტალკიდან! ეს საშინელება იყო...

... ყველაზე მეტად მე ერთი გარემოება მაოცებდა: ტფილისის დაცვა ისევე დიდი საკითხია, რომ მისი გალესვაზე უკან მიმართული და დამარცხებული დაღვიანილები მიიღეს, არამც თუ არ მიგვეწვიეს ჩვენი, ფრთების უფროსები, რომლებიც ფრთებს დავალით დავუშვებდით, რომლებმაც კარგად ვიცოდით მოწინააღმდეგისა და ჩვენი ძალები, მათი და ჩვენი სულერი განწყობილება, არამედ არც კი შეგვიკითხებენ, ჩვენი აზრის მოსმენა არც კი ინიშებს...

... ჩვენს დახვევას არ უკონდა წინაწინვე მომზადებული გეგმა...

... მცხეთაში მთავარმა შტაბმა არ უჩვენა დივიზიონებს აღვილები, რის გამო ჯარის ნაწილები ისე დაბანაკდნენ ვინც, როგორ მოახერხა, მცხეთის სადგურსა და მონასტერის შუა.

თავდაცვის არავითარი ზომები არ იყო მიღებული. მცხეთის პოზიციებზე დარჩენა შეუძლებელი იყო არმიის მცირე რიცხოვანობის გამო. მოწინააღმდეგეს რომ მეტი ენერჯია და გაბეღულობა უკონდა, 24 თებერვალს საღამოს საქართველოს მთელ არმიას ტყვედ ჩაიგდებდა, მაგრამ მისი უმოქმედობის გამო, 26 თებერვალს ჩვენი შედეგით მცხეთის ქვაბიდან გასდგა...

\*

... შემოვიდნენ წითლები და...

1921 წელს საბჭოთა რუსეთის ხელისუფალთაგან ქემალისტურ თურქეთს გადაეცა: ართვინის ოლქი - 333 კვ.კმ, მოსახლეობით - 61000 კაცი; ფოცხოვის თემი - 588 კვ.კმ, მოსახლეობით - 15000 კაცი; არტაანის ოლქი - 5137 კვ.კმ, მოსახლეობით - 56000 კაცი; ოლთისის ოლქი - 3051 კვ.კმ, მოსახლეობით - 32000 კაცი. საბჭოთა აზერბაიჯანს გადაეცა: ზაქათალის ოლქი - 3564 კვ.კმ. საბჭოთა სომხეთს კი: ბორჩალოს მაზრის ნაწილი - 3812 კვ.კმ.

ამგვარად თურქეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს მიეცა საქართველოს ტერიტორიის 19491 კვ.კმ. თუ ამას დავუმატებთ სოჭსა და შავი ზღვის ოლქს, რომელიც საბჭოთა რუსეთმა შეიერთა, მივიღებთ, რომ საქართველოს "გაბედნიერება" საკმაოდ ძვირი დასჯდომია, ანუ 21 410 კვ.კმ. ქართული ტაძრებით და მძიმე-ბული და ქართული სისხლით მოწყვლული მიწა. ამას გარდა დარჩენილ მიწაზე: 21 მაისს გამოცხადდა აუბანეთის დამოუკიდებელი სსრ, ხოლო იმავე წლის 16 დეკემბერს იგი ასსრ-დ გადაკეთდა; 1921 წლის 16 ივლისს საქართველოს რევკომის დეკრეტით აჭარა გამოცხადდა ასსრ-დ; 1922 წლის 20 აპრილს კი მალაობის ნიშნად შეიქმნა ე.წ. სამარეთ-ოსეთი ა.ო.

\*

საქართველოს მინარტიტული პარტია თანადგომისათვის უარმდის მას და მოსახლეობას უბრუნებს ქალბატონებს ედერ ნაჭყვიას, მზია შველიძეს, მარინა ჰინჭარაულს და ბატონებს გურამ აპესაძეს, გივი ასათიანს, ვალერი ღონღლაშვილს, დემურ სიხარულიძეს, ზურაბ ჭორიძეს, გურამ ხუნდაძეს, რიჩო ჯავახიძეს

ორივე ტალიანში  
დასასრული

აი, ვისკენ მიდის გზები! აი, საით მიდის სტალინას, ატეიბრსკიას, სალოვიას და მატროსოვის ქუჩებით! ჭეშმარიტად! საქართველოს მიწაზეც ამ ცრუინტერნაციონალისტებს მისამართი ერთი აქვთ: საერთო სახელი!

პრობლემა კი პრობლემად რჩება და თავისუფლების ამ ნარ-ეკლიან, ძნელადმისაღწევ გზაზე ისევ გვახსენდება ერეკლე მეფე, პატრონი და მამა ერისა, გათავებულ მუშას მუქარით რომ უთვლის: -"ისეთ დღეს დაგაწვიე, შენივ ხორცს გაგლეჯინებ შენივ კბილითაო!"... დღეს აღარ გვყავს ნალი, გულწრფელი, გულმხრევი, სულით ხორცამდე ქართველობით გამსჭვალული პატრონი. პატრონი დამპატრონებლად გადაიქცა. სიმართლის მფარველი - დანაშაულის მფარველად. ჩვენს მამულს აღარ უდგას სათავეში "კაცი საერო და ბრძენი". დღეს ხელისუფლების სათავეში აღარ გვყავს კაცი, რომელიც პატრიოტულ გრძნობებთან ერთად დაიტივდა მოყვასისა და კაცთმოყვარეობის მაღალ იდეალებს, ჭეშანიზმის, ქრისტიანობის, კეთილსინდისიერების უზენაეს პრინციპებს. მმართველი აპარატი აივსო" კაცნი ლიქნით და მბებუნით, გვართ უჯიშონი, გონებით ბეცნი, მრუდენი, მოღვმით სხვის ტრმნი"...

მამ, ისევ და ისევ ვის შევჩვივთ? ვინ მოვიხმით გაჭირვებასა და უბედურებაში შემიწედ და კომაგად, ვინ იქნება ნუგეშის მცემელი ერისა, "ვინ მოწმენდს ტანჯვის ცრემლს?!"... ვინ უნდა გააგრძელოს თავისუფალი საქართველოს ნათელი და ზეციური შარავანდელი მოსილი წმინდა გზა... სამეფო ცაზე ჯერაც კიაფობს ბრწყინვალე ვარსკვლავი ბაგრატიონთა ღვთით კურთხეული გვირგვინისა. კვლავაც მოგვიხმობს სკიპტრა ქართველ ერთობისა, ძმობისა და თანასწორობისა, -ენა, მამული, სარწმუნოება! - კვლავ შეგვახსენებს ქართლის მეფეთა ნათელი სული და ერთხმად, ერთსულოვნად, ერთსურვილად შელალალებს ქართველი ერი: - აშინი!

იღუპილ გამგებლო თხევა



ირსაზ ბრიგადილი  
ახალსაძარმევი

მართალია, დღეს ეს ლექსი ბევრ კომუნისტს გააჯერებს, მაგრამ მაინც თამამ სიტყვას მოვახსენებ ახალ მთავრებს: თქვენ ამბობდით: საქართველომ, რაც გინდ ბევრი გაიბრძოლს დიდ რუსეთის კომუნისტად გადაიქცევა მაინც პოლს!

ჰა, აღსრულა! თქვენ მოხვედით, ჩვენც მივიღეთ ცრემლით ცხელით, მაგრამ ხალხი არ შეგინდობთ, რომ სხვის ხიშტით შემოხვედით.

განა ჩვენ აქ გვქონდა ტახტი ან ზედ დავსვით ვინმე მიფედ, რომ ქართველთა წმინდა სისხლი დაღვარეთ და ააშხევეთ?

განა ჩვენი არწივები გაუბოდნენ ღრმას წითელს, რომ დღეს ჩვენზე ახარბარებთ ყველა პილწს და ყველა სკვიტელს?

ო, ჩვენ ისე შევიჩვიეთ ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს ფერს, ჩვენს ხმას, რომ ვერასროს ვერ ავიტანთ გამარჯვებულ რუსულ ჩექმას.

ზეინაბად გადვიტვივით, გულს ჩავიკლავთ აღქმას შმაგურს და უსისხლოდ მტერს არ მივცემთ არცერთ კუთხეს, არცერთ აგურს.

... მაგრამ თქვენში თუ ვიპოვი ჩვენზე კარგს და ჩვენზე ძლიერს: უანგარო მამულიშვილს, სასახელი ივერიელს,

თუ დავიკავთ ჩვენი ერის სილამაზეს, ენას, ღოვლას, თუ ჩვენს ცხელ მზეს არ გარდაქმნით ჩრდილოეთის მსუსხავ თოვლად,

თუ ალაღვენტ საქართველოს ისტორიულ - მთლიან ხაზად, მაშინ ჩვენს გულს ქვეშევრდომულს თქვენ დაგივინთ ფიანდაზად.

ხოლო, ვინმე თუ გაპბედა, რომ მოგვსპოს და გადაგვიღოს - ვიტყვი: მოკვდა საქართველო? გაუმარჯოს საქართველოს!

ტფილისი 1921წ.  
25 თებერვალი

ლექსში სტრიქონები ჩვენს მიერ არის კურსით გამოყოფილი. პოეტი მიმართავს ინტერვენტთა ხელისუფლებას: "განა ჩვენ აქ გვქონდა ტახტი ან ზედ დავსვით ვინმე მიფედ, რომ ქართველთა წმინდა სისხლი დაღვარეთ და ააშხევეთ?"

ავტორი გმობს სისხლიანი ტერორის გამოყენებას იმათ მიმართ, ვინც არ "გაუბოდნენ ღრმას წითელს".

ამ "წითელი ღრმის" ნაცვლად ქართველებს თავისი მეფე რომ მოეთხოვათ, ეს - რეალური ეროვნული სუვერენიტეტის აღმნიშვნელი იქნებოდა და ლექსში ხაზგასმული სტრიქონებიც შენდებოდა ვარაუდის საშუალებას გვაძლევს: პოეტი სინანულით აღნიშნავს - თუ ქართველთა წმინდა სისხლი მაინც დაიღვრებოდა, იგი ჭეშმარიტად თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს სამსხვერპლოზე იქნებოდა მიტანილი, რაც იქნებოდა პირობადებული ტახტის აღდგენით.

ამ დღემდე ბევრი გვსმენოდა მათ შესახებ, ამ დღის შემდეგ - ბევრი გავიგეთ...

მათი არსებობა იცის ყველამ /ან თითქმის ყველამ/ შეფასებანი კი დიდად განსხვავდება: "სუფთა რუსული ეროვნული მოძრაობა, მიმართული რუსული მონარქიის აღდგენისაკენ", "ფაშისტები", "იულოფობები", "ანტისემიტები", "რუსი პატრიოტები", "კმბ - შნიკები" და სხვა.

ვიცოდით რა, თუ რა დღისა დაინტერესება ქართული საზოგადოებისა და რამდენს წერენ და ლაპარაკობენ საქართველოში იპპ /ეროვნულ-პატრიოტული ფრონტი/ "პამიატი" და განსაკუთრებით - "გაუმარჯოს საქართველოს უკართველებო!" - თ, - ჩვენ გადავწყვიტეთ პირადი კონტაქტის საშუალებით გვეცადა მიგვეწოდებინა ჩვენი მკითხველსათვის რაგონდამე ამომწურავი ინფორმაცია ამ განხილულ მხარეზე და მის ლიდერზე: იგი - დიმიტრი დიმიტრის ძე ვასილივი, იპპ "პამიატის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე - მცხოვრები ქ. მოსკოვში, 113054, ვალვასიას ქუჩაზე №32-4 ტელ. 237-39-71, "მოსსოვეტის" სახელობის თეატრის ყოფილი მსახიობი:

- ქართველი მონარქისტები?... გიცდით ხვალ, ოთხი საათის შემდეგ... მოხარული ვარ... ნახვამდის!

მშვენიერი ბინა მესამე სართულზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პუნქტის თავზე, შოტლანდიური ნაგაზი კოლი, მრავალი ნახატი, ხატი, ფოტო /ნიკოლოზ II-ის; ა.სტოლიპინის; დავით დ. ვასილივი, სტოლიპინის როლი; უცნობი მხატვრის მიერ დახატული ჩვენი მასპინძლის მშვენიერი პორტრეტი და ა.შ./.

ბატონი ვასილივი - ტანსრული, ძალიან ცოცხალი, სუნთქვაში ჯიშინავარული მამაკაცი, ასე ორმოცდაათამდე წლის - აღმოჩნდა ენაზე, მშვენიერი მთხრობელი. შავი პერანგი, შავი ფეხსაცმელი, შავი შარვალი, სამკერდე ნიშნები, სამხრები, შავი...

- აი, უკვე რამდენიმე წელია, რაც ჩვენ ვარსებობთ, რითაც ვიწვევთ ცოფიან სიძულვილს ჩვენი მტრებისას, ყველას, ვისაც წმინდა რუსეთის დასაბრუნებლად მიმდინარეობს ჩვენი მიზანდასახული დევნა ყველა რუსოფობიური ორგანიზაციის, პრესის მიერ...

- ჩვენი მთავარი ამოცანაა - კავშირი ყველა იმ ძალასთან, ვისაც უნდა და შეუძლია შეაჩეროს ებრაელების მსოფლიო შემოტევა...

- მე ხშირად მეკითხებიან ვარ თუ არა ფაშისტი: ვარ! მაგრამ ამ სიტყვაში ხომ არაფერია ცუდი?! "ფაშო" შეერთებას ნიშნავს. გაიხსენეთ შესანიშნავი ფაშისტური სიმბოლიკა...

- მე წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი პარლამენტარიზმის, დემოკრატიის... შესანიშნავია რაც განახორციელა მუსოლინი, როდესაც ისწრაფდა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. რა გააკეთა? - შეკრიბა თანამოაზრეთა ჯგუფი. ისინი ხანგრძლივად ვარჯიშობდნენ, იგეგმოდნენ... შემდეგ კი იყო ცნობილი რომაული ლაშქრობა, - მუსოლინი შევიდა რომში როგორც ტრიუმფატორი. ისინი მიდიოდნენ მთავარ ქუჩაზე მარშით, კოლონით. ის კი მხოლოდ ბრძანებებს იძლეოდა: "აილეთ!.. აილეთ!..". მალე მთელი ქალაქი აღებული იყო და თუ იცით რა ქნა შემდეგ მან?

- მიიწვია ყველა პარლამენტის წევრი სამხარზე, შეურია რა საჭმელში საჯარო-რათო, როდესაც ისინი ჩასკდნენ, ჩაკეტა ერთი კვირით პარლამენტის შენობაში... ამის შემდეგ პარლამენტმა შეწყვიტა თავისი არსებობა!.. დიახ, მე ჩერწერუბა-შერჩივი ვარ! რა არის ამასი ცუდი? მღვდლებიც ხომ შავი ანაფორებით დადიან?..

ჩვენ მხოლოდ ხანდახან ვახერხებდით სიტყვის, ან რეპლიკის ჩართვას. მხოლოდ ამ ორსაათნახევრიანი შესავალი და მოძღვრების შემდეგ გავახსენდით და მოწყალედ დაგვრთო ნება დაგვეცა მისთვის კითხვები.

- თქვენი დამოკიდებულება. საერთოდ მონარქისტული იდეისადმი და კერძოდ საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიის მიერ, რომელსაც წაერთვა ტახტი 1801 წელს პავლე I-ის მანიფესტის ძალით, თავისი კანონიერი უფლებების აღდგენისადმი?

-ნუ, როგორია ჩემი დამოკიდებულება... მე დავით მონარქისტი ვარ. ნამდვილი მონარქისტი... მონარქია - ეს არის, ბატონო, რომ ვთქვამ, დიდი ღატოტვილი ხე. ეს ხე იზრდებოდა, ყვავოდა, იძლეოდა ნაყოფს მრავალი საუკუნის განმავლობაში... ერთხელაც იგი ძირში მოჭრეს... მაგრამ ხალხურ ნიადაგზე, საბაბო ტრადიციებზე აღმოცენებულს, ასე იოლად დასუბა არ უწერია... და აი, მთავარმა, თურმე ცოცხლად დარჩენილმა ფესვმა ამოიყარა, რომლიდანაც აღსდგება მთელი ხე! ასეა მონარქია... ყველა უბედურება ურია-მასონებისაგან გვჭირს! მე გმონია, რომ სწორედ მათ გააუქმეს ქართული სამეფო პავლე I-ის დროს... თუ ქართველებს გყავთ თქვენი მემკვიდრე - კი ბატონო, გამოგვიყავით,

ჩვენ ვიწვევთ ახალ სერიას - პორტრეტები. ამ სერიის მიზანმიმართულად გაგაცნობთ მრავალ პოლიტიკურ მოღვაწეებს, სფეროში მოღვაწე პიროვნებას. პუბლიკაციათა სერიას ხსნის ყველასათვის დიდად საინტერესო მოძრაობა - იპპ "პამიატი" და მისი მამამთავარი დ. ვასილივი. მას ესაუბრა და პუბლიკაცია მოამზადა საქართველოს მონარქისტული პარტიის წარმომადგენელმა მოსკოვში, ბატონმა გიორგი გაბრიჭიძემ.

შემოიღებთ, მაგრამ იცოდეთ: ჩვენ მხოლოდ ერთად ვართ ძალა, ცალ-ცალკე კი არაფერი!.. მხოლოდ ერთიანი, ძლიერი იმპერია!.. დაე, ამ იმპერიაში თქვენც გყავდეთ თქვენი მეფე ბაგრატიონთა დინასტიიდან /მე მათ ღრმა პატივს ვცემ რუსეთისათვის გაწეული ამავისათვის!/, მაგალითად, ისე, როგორც კიდეის რუსეთში, სადაც იყო დიდი და მცირე მთავრები, ფაქტიურად დამოუკიდებელი მისაგან. ხომ გყავდათ მეფეები ჩვენთან შემოერთების შემდეგ? ხომ გჭონდათ თქვენი ეკლესია? - მთავარია ერთად გავიმარჯვოთ, შემდეგ გამოგვიყავით, თუ ასე ძალიან გსურთ...

ამ პასუხის შემდეგ ჩვენ მოგვიხდა პატარა ექსკურსიის გაკეთება ისტორიაში, რათა შეგვეხსენებინა ბატონ ვასილივისათვის ზოგიერთი ფაქტი.

- როგორ უყურებთ რომანოვთა დინასტიის აღდგენას რუსეთში, იდეას - "მეფე-ღვისაგან მირონცხებული?"

- იცით რაშია საქმე?.. ერთის მხრივ ასეა, მაგრამ... ისინი ხომ უკვე სამოცდაათი წელია რუსეთის გარეთ ცხოვრობენ, დაკარგეს ყველაფერი რუსული, ფესვები... შემდეგ მთავარი მემკვიდრეები ყველანი გაწყვიტეს, ხოლო ვლადიმერ კირილეს ძემ კი ნახევრად ებრაელი - ნახევრად სომეხი შეირთო, ე.ი. დაკარგა ყველანაირი უფლებანი ტახტზე... რა?.. ლეონიდა გიორგის ასული ბაგრატიონ-მუხრანელი - ქართველია?.. თქვენ ზუსტად იცით?.. ყოველ შემთხვევაში მათ არ დარჩათ არაფერი რუსული. იქ დიდა ებრაული გავლენა!.. ჩვენ თუ მოგვცემენ ალსაზრდელად მეკვიდრეს, მაგრამ... სჯობია გაკედეს ერთი რამ - გახსოვდეთ როგორია ფილმ "დაკეპში"? როდესაც მეფე მოკლეს, ერთმა მოხუცმა შე გრთვა ყვილა ყმაწვილი, მათ შორის უფლისწულიც და ზრდიდა მათ ერთად, ერთხანად, მგლის ლეკვებად. უძლიერესი შემდეგ მეფედ ამოირჩიეს... უნდა აღსდგეს პაყა კორპუსი, სადაც მოგროვდება ერის მთელი ღირსი ახალგაზრდობა და შემდეგ საუკედესო, საჯაროდ აირჩევა მეფედ!..

- დიახ... თუ დავუშვებთ, რომ საქართველოს, ან სომხეთს, ან ვინმეს კიდევ, თუ მათ ჰყავთ თავთავიანი მემკვიდრეები, უნდა გამოყოფა - კი ბატონო!.. უტყბიათ კისერი! მაგრამ... თქვენ უნდა აღიაროთ, რომ ისეთი რესპუბლიკები, როგორებიცაა უკრაინა, ბელარუსია, მოლდავია, ბალტიისპირეთი და სხვა უნდა იყოს ჩვენი, ვინაიდან ისინი არასოდეს დამოუკიდებელი არ ყოფილან!.. გაიგეთ თქვენ, ჩვენ ხომ შეგვცამენ! ჩაგვხეთქავთ სათითაოდ!

- და კიდევ შუა აზია! ჩვენ უნდა წავიღოთ კავშირზე მუსულმანობასთან სიონიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად...


- არავითარი ბრძოლა კომუნისთან! ბრძოლა ურია-მასონობასთან, აი, ჩვენი ამოცანა!.. ყოფნა, არყოფნა!..

- აი, მე მყავს ტიპოგრაფიაში ერთი ებრაელი /ვახუტეძის მე - მიბეჭდავს ებრაელი! / ერთხელ ის მოდის და მეუბნება: - დიმიტრი დიმიტრის ძე, მე გავიგე, რომ 5 მაისს თქვენ გინდათ რომ რბევა მოგვიწყობთ, მაგრამ მე კარგი ებრაელი ვარ, მე თქვენზე ვმუშაობ. მომიცით გეთაყვა, ცნობა, რომ მე კარგი ებრაელი ვარო. მე კი მას ვუბნებ: - შენ რა გგონია! არავითარი ცნობა! გასრესდით და გაგარისავთ კიდევაც-მეფქი!

ამ სახით ის კიდევ საათნახევარი ლაპარაკობდა... გამომწვიდობებისას მან დაგვიხატა თავისი ბრძოლის სტრატეგია: - გაუშვით დისიდენტები წინ, მას შემდეგ კი, როცა მათ გადახვდეთ - ხელში ჩავიგდეთ ძალაუფლება! "ბელადნა" მამობრივად გვიჩრია, რომ გვესმინა მისთვის და ჩვენც შემდგომში ასე მოგვქეულიყავით.

ჩვენც გამოვემშვიდობეთ. ქვეით, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პუნქტის წინ და საერთოდ სადარბაზოში, ხმა არ ამოგვიღია: ათასნაირი ფიქრი გვიტრიალებდა თავში. ქუჩაში კი მთელი გზა ვკამათობდით. ჩვენ ყველას გვაწუხებდა ერთი დაუსმელი კითხვა:

- მაინც ვისზე მუშაობთ თქვენ, დიმიტრი დიმიტრის ძეგ?..



პოპონება
რ. მიამბარძიმ
მ უ ჯ ა ვ ე დ ი ნ ი ს ს ა დ ლ ე გ რ ძ ე ლ ო
ეს ლექსი აშლილი ფიქრია... ფიქრი იმ უჩვეულ კაცზე, რომელსაც მერაბ კოსტავა ერქვა. ერთხელ სუფრაზე, ნაშუალამევს, უკვე მაშინ, როდესაც მრავალი თემა მიიღია, საუბარი შეეხო ავლანეთს. ეს ლექსი მოგონებაა იმისა, თუ როგორ წამოღდა იმ უცნაურ ფეხზე და ჩამოვარდნილ სიჩუმეში წარმოსთქვა უჩვეულო და ამ უჩვეულო მაცხოვრის ნააზრევთა დარი სადღერძო, სადღერძო მთხუცი მუჯაპედინისა..

ყინრად შემართა კეისრის თავი მზერა ნახავი, თბილი და ავი თქვა: ძმებო დავლოთ მამაცებს ფასი, ავლანელ ბიჭებს ვარჯუნთ თასი.
და გაირინდა კოსმოსი თითქოს წამით შერქრდა უღმერთო ზოცვა. ჯალალბადთან და ყანდალართან ისმოდა ცაში ქართული ლოცვა.
მიპყროდა ცაში ქართული ლოცვა მიპქონდა შუქი იმედის, ძმობის მშურდა ავლანის და მწვავდა ცეცხლი, აღტაცების და სირცხვილის გრძნობის.
წავლიან წლები, დაღნება ძვლები ზამთარი ფთხლებს მრავალზის დაყრის გაღვირავლებს ბორბალი ბედის დასაშლელს დაშლის, დასაღვრელს დაღვრის,
და მორიგ ღამეს მთაწმინდის თავზე მთვარე სხივსავსეს დაიცლის ჯიქანს; მოვა ბებერი მუჯაპედინი და მერაბის სულს წაუქცევს ვიქას...

1990 წელი, პირველი პარასკევი

ახალი წლის შემდეგ შიდა ქართული მომხარება 9 თვის ბავშვის საზარტო მკვლელობა მკვლელობა მკვლელობა...

შეიქმნა საშიშროება, რომ იმ უმთავრესი საკითხიდან, რაც გამოიხატება იმპერიის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლაში...

6 იანვარს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის სალონებში წაკითხულ იქნა საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზაციის მიმართვა...

დაიწყო აქცია. მისი მონაწილენი პროტესტს უწყობდნენ კრემლის შტაბკვარულ გეგმას, რომელიც ქართველი ერის წარუღებელ განადგურებას...

მ ი მ ა რ ტ ვ ა ძ ა რ თ ვ ე ლ ი

მ ა მ უ ლ ი შ ვ ი ლ ნ ი

ღვთისმშობელ წილხვედრ იბერიის ძეგლ და ასულნი! უსაყვარლესო დანი და ძმანი!

ქართველი ერის ისტორიაში დედა ჭამი, როდესაც ერმა გადაწყვიტა სიტყვა უნდა თქვას დიდი ისტორიული მისიის განსახორციელებლად...

ქართველი ერის თვითმყოფლობა ჩვენს წვდამაღწევაში მდებარე ისტორიულ წარსულში იღებს სათავეს. ქრისტიანობამდე ოთხასი წლით ადრე...

აღორძინდა საქართველო! აღიმართა ქართველი ერი და ახალი შემართებით მიაბიჯებდა დამოუკიდებლობის გზაზე...

სწორედ სიყვარულმა, კეთილმა გულმა და მოწყალებამ მიგვიყვანა მარტყოფის ბავშვთა ინტერნატში 1975 პროფტექნიკური სასწავლებლის თანამშრომლები...

რალა ტალამ მოწყობა ბავშვები ადგილს და ჩვენსკენ გამოაქანა თვალეში სიცილირამდგარნი, შემოგვიცივირებდნენ...

16 იანვარი... ეს დღე იყო მათი გაქრისტიანების, ნათლობის დღე...

მამა ზაქარია შეგვეგება მარტყოფის ახლად აღმდგენულ ეკლესიაში. მან აღასრულა ნათლისღება, აკურთხა ისინი...

ჩვენს თვალწინ საოცრება იშლებოდა...



საქართველოს მონარქისტული / კონსერვატორული / პარტიის იზიარებს ბატონ თემურ ყორყორიანის ღრმა მწუხარებას შვილის

პატარა ლ უ კ ა ს

გარდაცვალების გამო.

და შესანიშნავი ტრალიციებით. ეს ყოველივე გვა: უბს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს...

1990 წლის 5 იანვარს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, წმინდა ილია მარტალის საზოგადოებისა და საქართველოს მონარქისტული პარტიის ინიციატივით...

მ ა მ უ ლ ი შ ვ ი ლ ნ ი! მოგიწოდებთ უკომპრომიტო, შეუჩვენებელი ბრძოლასკენ.

მ თ ვ ი თ ხ თ ვ თ:

ა/ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისა და წყობილების გაუქმებას;

ბ/ რუსეთის მოღონიზებული იმპერიის საოკუპაციო ჯარების მიერ - საქართველოს ტერიტორიის დატოვებას;

გ/ საქართველოში დემოკრატიული ქვეყნებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან სპეციალური მისიებისა და დედაცაციების ჩამოსვლას;

დ/ საყოველთაო დემოკრატიული კენჭისყრით ნამდვილი ეროვნული მთავრობის არჩევას.

ჯვარსნული ომი კომუნისმს! წინ თავისუფლებისაკენ! ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

05.01.90

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, საქართველოს მონარქისტული პარტიის, წმინდა ილია მარტალის საზოგადოების სახელით:

- ი.წერეთელი თ.ყორყორიანი რ.ბერკაია
ი.ბათიაშვილი გ.ხონელიძე რ.მიქაბერიძე
თ.სუმბათაშვილი ი.ბარათაშვილი გ.გობაიძე
თ.პაატაშვილი

შიშნობის აქციაში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს მონარქისტულმა პარტიამ. საორგანიზაციო კომიტეტში მისგან შევიდნენ შემდეგი ბატონები:

- აკაკი ასათიანი;
დავით კოპალეიშვილი;
ნიდარ ლაბარტყავა;
ლამა ფავდენიშვილი;
ვანო შატბერაშვილი.

შიშნობის აქცია იყო პერმანენტული და გადაწყდა მოშიშნობითა ჯგუფები შეცვლილიყვნენ ყოველ კვირას.

მ თ შ ი მ შ ი ლ ე ნ ი მ თ ნ ა რ ქ ი ს ტ უ ლ ი პ ა რ ტ ი ი ღ ა ნ :

8 იანვრიდან - 14 იანვრამდე:

- 1. ს.ბარათაშვილი; 6. ა.ფიქრიშვილი;

- 2. ზ.ბოკურავა; 7. ა.ვილიძე;
3. ზ.მეტრეველი; 8. თ.ყორყორიანი;
4. ზ.ნახაშვილი; 9. გ.ხონელიძე;
5. კ.სხივრიძე; 10. ი.ხონელიძე.

14 იანვრიდან - 20 იანვრამდე:

- 1. პ.ბარდნიშვილი; 6. გ.მარშანი;
2. ზ.გობეჯიშვილი; 7. მ.სანიკიძე;
3. თ.თავაძე; 8. ე.ქავთარაძე;
4. ნ.ლაბარტყავა; 9. ა.ქავთარაძე;
5. მ.მაცაშვილი; 10. ი.შატბერაშვილი.

აქციას მხარი დაუჭირა სრულიად საქართველომ, დაიწყო გაფიცვები, ზედღებ ჩერდებოდნენ უღიღისი საწარმოები / ვაჭრები ტრანსპორტი თბილისში, გაიფიცა რკინიგზის სადგური სამტრედიის, ნავსადგური ფოთში... / მთელი ღვინის გაფიცვები ხალხი მიემართებოდა მთავრობის სასახლისაკენ, იმართებოდა მიტინგები. მონარქისტული პარტიიდან გამოცვლელთა შორის ხშირად გაისმოდა ბატონი აკაკი ასათიანის ხმა. ერთ-ერთ გამოსვლაში მან განმარტა მონარქისტული პარტიის პრინციპები და აღნიშნა, რომ მას შემდეგ რაც ქართველი განუღებ უფალს, ღმერთის უარყოფას მიჰყო ხელი და დაივიწყა ძველი ტრალიციები, მაშინ გაგვანადგურა მტერი, მაშინ გაუქმდა ჩვენი სამეფო, თვით უფლის ხელსამხელი ბატონთაგანთა დინასტია. ამის გამო ავიღე უკვე ორასი წელი მონარქიაში ვიმყოფებით. ღვინს, კი, როდესაც ყოველი ღვინი გაგვანადგურებს ქართველთა დიდ მიზანს - დამოუკიდებლობას, თავისუფლებას, რუსეთის ტირანიის დამხობას, უნდა აღვადგინოთ ქართველთა ულამაზესი ტრალიცია, ბატონთაგანთა დინასტია. არ უნდა მოგვწყდეს ძველთაძველ ფესვებს, რომელიც ჩვენი ერის გენს აცოცხლებს.

19 იანვარს მომიტინგეებს გააცნეს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილება აქციის დროებით შეწყვეტის შესახებ, რადგან ამიერკავკასიაში შეიქმნა დედაცაციები მსგავსი მდგომარეობა. ბატონი, ყარაბაში, განუაშინა და ღმერთში, ეთნოკონფლიქტი გააღიზარდა ნამდვილ ომში. შესაძლებელი იყო კონფლიქტში საბჭოთა არმია ჩარეულიყო, რადგან სიტუაცია ფაქტობრივად იყო, ჩვენ არ უნდა დაგვეშვა კონფლიქტი ჩვენს მიწაზე. ამიტომაც 20 იანვარს აქცია დროებით შეწყდა, ხოლო მონარქისტული პარტიის ბათიაშვილმა ჯგუფმა იმავე დღეს წმინდა ზიარება მიიღო. აქციის დასკვნით მიტინგზე ა.ასათიანი აცხადებს, რომ ბატონ ბომბავენ საბჭოთა ჯარები ციდან და ზღვიდან, არის უამრავი მსხვერპლი. დალუპულა პატივსაცემად ცხადდება წუთიერი ღმერთი. "ჩვენთვის და მთელი კავკასიისთვის ეს კარგი ჰკუთის სასწავლებელი მაგალითია. ღვინს ვისაც ევრი ეპარებოდა ეროვნული მოძრაობის სიმართლეში, დაინახა რას უპირებს კრემლი კავკასიას. დიდი გამარჯვებაა, რომ მის მიერ ყურთ მთელ ეთნოკონფლიქტებში არ ჩავერიდეთ. ჩვენ ამდენსაც არ გვაძლიდნენ, ამის დასამტკიცებლად 9 აპრილიც კმარა..."

მ ა გ ბ ყ თ შ შ ი

მ ქართველი რომაელი მარტყოფი. კიდევ მ ქრისტიანი შეემატა საქართველოს...

ნათლებმა გადაწყვიტეთ ხშირად მოგვენახულებინა ჩვენი ნათლები, არ მოგვეკლო სიბოძო და სიყვარული. ვიმედოვნებთ, რომ როდესაც პატარები ინტერნატს დაამთავრებენ - მოვლენ ჩვენს პროფტექნიკურ სასწავლებელში. ჩვენ მივცემთ მათ ცხოვრების საგზურს და გავხდით მომავალ დამოუკიდებელ ქრისტიანულ საქართველოს სამეფოს ღრსეულ ქვეშევრდომებად.

1975 პროფტექნიკური სასწავლებელი

საქართველოს მონარქისტული პარტია



ამა წლის 14 თებერვალს მარტყოფის ბავშვთა სახლს სტუმრად ეწვივნენ ექიმები. როგორც ზემოთ ვიწყვიბოლით მარტყოფის ბავშვთა სახლში მყოფი პატარა ქართველები მოინათლნენ და ამ ბავშვთა სახლში შეეკრება აიღო საქართველოს მონარქისტულმა პარტიამ.

ექიმებმა დიდი გულისყურით გასინჯეს პატარები და გამოავლინეს თორმეტ ბავშვში სხვადასხვა სახის დაავადებანი. ამ ბავშვებს სტაციონარული მკურნალობა

საქართველოს მონარქისტული / კონსერვატორული / პარტიის ყველა გამოცემა იბეჭდება საწვეროებისა და შემოწირულობათა ხარჯზე.

რელაქცია იწვევს სათანამშრომლოდ ყველას, ვინც იზიარებს მონარქისტულ პოზიციებს.

ყველა დაინტერესებულ პირს, ვისაც აინტერესებს საქართველოს მონარქისტული / კონსერვატორული / პარტიის საქმიანობა და აგრეთვე ვისაც სურს თანამშრომლობა სარედაქციო კოლეგიასთან, პარტიის რედაქციის საბჭო იწვევს ყოველ შ ა ბ ა თ ს, 13 საათზე ვ ე რ ი ს პ ა რ ტ ი შ ი, ლ უ რ ჯ ი მ თ ნ ა ს ტ რ ი ს წ ი ნ.

ესაკირობებოდათ და მზრუნველმა ექიმებმა თავიანთ საავადმყოფოებში მოათავსეს პატარები. იმედია არც იქ არაკლებენ თავიანთ მაღლიან ყურადღებას.

საქართველოს მონარქისტული პარტია უღრმეს მაღლობას უცხადებს შემდეგ ექიმებს:

ბატონ მერაბ საყვარელიძეს - ტრამვატოლოგიისა და ორთოპედის სამეცნიერო ცენტრის უფროს მეცნიერთანამშრომელს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს;

ბატონ თამაზ ყურაშვილს - პედიატრიის ინსტიტუტის ინტეკტური განყოფილების გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს;

ბატონ ჯემალ ღვალს - პედიატრიის ინსტიტუტის ნერვოზთათალოგს;

ტალბატონ ნანა პავლიაშვილს - დამწვრობის ცენტრის პედიატრს;

ბატონ თარ კუნჭულიას - პედიატრიის ინსტიტუტის პედიატრს;

ბატონ არჩილ აბესაძეს - ტრამვატოლოგიისა და ორთოპედის სამეცნიერო ცენტრის ანესთეზიოლოგს, პარტიის წევრს.

კვლავაც გეკეთებინოთ მრავალი ასეთივე სულმაღალი მამულიშვილური საქმე ღრმად პატივცემულ თანამიმამულე ღოსტაქრებო!

თ უ ლ ა ე ტ თ რ ი: მ.ნაცაშვილი

ს ა რ ე ლ ა ე ტ ი თ კ ო ლ ე გ ი ა:

- ზ.ასკანიანი
ი.ბარათაშვილი
თ.ყორყორიანი
მ.ურუშაძე
გ.ხონელიძე

ტ ე ე ნ ი კ უ რ ი ჯ გ უ ფ ი:

- გ.გობეჯიშვილი
მ.კუხალიშვილი
მ.მინდიაშვილი
ვ.ბაბაია